გადაწყვეტილება

N გ-24-17/397
19/09/2024

397-გ-24-1-4-202409190839

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის №40 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია”) განიხილა კომისიის 2024 წლის 19 სექტემბრის №40 ხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის, შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 19 სექტემბრის №40 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 3 საკითხი:

ა) შპს „ბიემჯის" მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის საკითხის განხილვის თაობაზე (მომხს. კონსტანტინე ქორიძე - მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი);

ბ) შპს „ტელეიმედის“, სს „მედია ჰოლდინგის“, შპს „მთავარი არხის“, შპს „პოსტვ“-ის, შპს „ტელეკომპანია პირველის“, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“, შპს „ფორმულას“, შპს „სტუდია მაესტროს“, შპს „სილქ მედიას“ და შპს „ილიონის“ წინააღმდეგ მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საჩივრის განხილვის თაობაზე (მომხს. კონსტანტინე ქორიძე - მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი);

გ) შპს „თულას“ მიერ ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფი);

2. გადაიდოს კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 19 სექტემბრის №40 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-8 საკითხის (საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის რადიოსიხშირეების მინიჭების შესახებ) განხილვა 2024 წლის 26 სექტემბერს, სახელმწიფო საიდუმლოებაზე წვდომის მქონე კომუნიკაციების კომისიის წევრთა ქვორუმის არარსებობის გამო;

3. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 19 სექტემბრის №40 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);

4. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

5. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი